სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

17 სექტემბერი 2024

N 524/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ,,საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2024-2030 წლების სტრატეგიის“ პროექტის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისადმი არდაქვემდებარების შესახებ

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ, 2024 წლის 2 სექტემბერს, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სააგენტოს სკრინინგის განცხადებით მომართა და წარმოადგინა ,,საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2024-2030 წლების სტრატეგიის“ პროექტი და სამოქმედო გეგმა. აღნიშნული სკრინინგის განცხადება თანდართული დოკუმენტაციით „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 23-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, 2024 წლის 5 სექტემბერს განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე (https://ei.gov.ge/ka/info/34419669-cfdd-4fa4-aee8-3978202649a1).

„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კოორდინაციით შემუშავდა ,,საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2024-2030 წლების სტრატეგიის“ პროექტი. პოლიტიკის დოკუმენტის პროექტი, თავის მხრივ, შეთანხმებულ იქნა 2015 წლის 19 ოქტომბერს საქართველოს მთავრობის №536 დადგენილებით შექმნილ მთის განვითარების ეროვნულ საბჭოზე, რომელიც განიხილავს და მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგენს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგიას და სამოქმედო გეგმას.

დოკუმენტაციის თანახმად, სტრატეგიის მიზნები და ამოცანები თანხვედრაშია საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ დოკუმენტთან - „ხედვა 2023 საქართველოს განვითარების სტრატეგია“, რომელშიც სექტორული პრიორიტეტის „რეგიონული განვითარება“ მე-12 მიზანს წარმოადგენს „ევროკავშირის ღირებულებებთან ჰარმონიზებული რეგიონული პოლიტიკის განხორციელება და მაღალმთიანი რეგიონების განვითარება“.

დოკუმენტის მიხედვით, სტრატეგია და სამოქმედო გეგმა აგრეთვე ეხმიანება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს, საქართველოს მთავრობის მიერ „რიო+20“-ის 2012 წლის №66/288 დეკლარაციის ფარგლებში აღებულ ვალდებულებებს და 2019 წლის 12 ნოემბერს დამტკიცებულ „მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნულ დოკუმენტს“.

წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, გრძელვადიანი ხედვაა, რომ მაღალმთიან დასახლებებში ცხოვრება და მუშაობა გახდეს უფრო მიმზიდველი, განსაკუთრებით ახალგაზრდებისა და სამუშაო ასაკის

მოსახლეობისთვის და, ამასთანავე, დროთა განმავლობაში შემცირდეს სოციალურ-ეკონომიკური უთანაბრობა.

სამი სექტორული პრიორიტეტის (მეწარმეობა, ინფრასტრუქტურა, სერვისები) მიხედვით, პროექტში დასახულია სამი მიზანი და ჩამოყალიბებულია რვა ამოცანა. პირველი მიზანი - მაღალმთიან დასახლებებში სამუშაო ადგილების შექმნა ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიკაციის გზით, მიიღწევა ორი ამოცანის შესრულებით: ამოცანა 1.1. - მაღალმთიან დასახლებებში მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერა, განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის და ამოცანა 1.2. - გადამამუშავებელი სექტორის, მთის ნიშური პროდუქციის წარმოების და ტურიზმის მხარდაჭერა.

მეორე მიზანი - მაღალმთიან დასახლებებში ეკონომიკის სტიმულირებაზე და ცხოვრების ხარისხის ამაღლებაზე ორიენტირებული საჯარო ინფრასტრუქტურის განვითარება მიიღწევა სამი ამოცანის შესრულებით: ამოცანა 2.1. - მაღალმთიან დასახლებებში ბიზნესის და მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ამაღლების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; ამოცანა 2.2. - მაღალმთიანი დასახლებების, განსაკუთრებით ისტორიული მხარეების უნიკალური ტურისტული პოტენციალის განვითარების ხელშეწყობა; ამოცანა 2.3. - მაღალმთიან დასახლებებში ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის და გარემოსდაცვითი ინფრასტრუქტურის ხელშეწყობა.

მესამე მიზანი - მაღალმთიანი დასახლებების მაცხოვრებლებისთვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება მიიღწევა სამი ამოცანის შესრულებით: ამოცანა 3.1. - მაღალმთიან დასახლებებში განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა, პროფესიული და არაფორმალური განათლების განვითარება; ამოცანა 3.2. - პირველადი ჯანდაცვის განვითარება და სოციალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; ამოცანა 3.3. - ტერიტორიული მარკეტინგის გზით მთაში ცხოვრებისა და მუშაობის პოპულარიზაცია.

,,საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2024-2030 წლების სტრატეგიის“ პროექტის პირველი მიზანი დაკავშირებულია ისეთი აქტივობების განხორციელებასთან, როგორებიცაა: მაღალმთიან დასახლებებში არსებული მეწარმეების ინფორმირებულობის გაზრდა; მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები ფერმერებისთვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა; ახალი სამუშაო ადგილების შექმნა ახალგაზრდა ფერმერებისა და მეწარმეების თანადაფინანსების გზით; მაღალმთიან დასახლებებში სასტუმრო ინდუსტრიის განვითარება და ა.შ.

დოკუმენტის მეორე მიზნით განსაზღვრული აქტივობები მოიცავს საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაციას; წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაციას; მაღალმთიან დასახლებებში საჯარო სერვისების მიწოდებისთვის შესაბამისი საჯარო შენობების რეაბილიტაცია/აღჭურვას; ურბანულ არეალებში საჯარო სივრცეების მოწყობას და სხვა.

ხოლო დოკუმენტის პროექტის მესამე მიზანი ითვალისწინებს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა/რეაბილიტაციას; პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის სახელფასო დანამატის გაცემას მაღალმთიანი სტატუსის მქონე დასახლებებში; პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობის გაუმჯობესებას მაღალმთიან დასახლებებში და ა.შ.

გეგმით განსაზღვრული ამოცანების აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელ და პარტნიორ ორგანიზაციებს წარმოადგენს, როგორც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სისტემაში შემავალი და დაქვემდებარებაში არსებული დაწესებულებები, ასევე სხვადასხვა უწყება, დონორი ორგანიზაციები და შესაბამისი მუნიციპალიტეტები.

სტრატეგიული დოკუმენტის თაობაზე საზოგადოების მხრიდან შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ წარმოდგენილა.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-20 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სგშ-ს ჩატარება სავალდებულოა იმ სტრატეგიული დოკუმენტისთვის და სტრატეგიულ დოკუმენტში მნიშვნელოვანი ცვლილებისთვის (მათ შორის, იმ შემთხვევაში, თუ ცვლილება ითვალისწინებს სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული განსახორციელებელი საქმიანობის/საქმიანობების მასშტაბის გაზრდას, საქმიანობის განხორციელების ადგილის ცვლილებას (მათ შორის, გაზრდას), საქმიანობის/საქმიანობების სახეობის, ექსპლუატაციის პირობების ან წარმადობის ცვლილებას), რომლებითაც დგინდება სამომავლო განვითარების ჩარჩო ამ კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებული საქმიანობებისთვის ამავე ნაწილში ჩამოთვლილი სექტორებისთვის.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-20 მუხლის მე-4 ნაწილთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ დოკუმენტის პროექტი ითვალისწინებს ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის მხარდაჭერას, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობას, და კომუნალური და საკომუნიკაციო სერვისების ხელმისაწვდომობას. თუმცა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წერილის თანახმად, სტრატეგიით განსაზღვრულია მხოლოდ ზოგადი მიზნები და ამოცანები და ის არ ადგენს კონკრეტულ პროექტს/აქტივობას, რომელიც ზეგავლენას მოახდენს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე. ამასთან, სტრატეგიის მოქმედება ვრცელდება არა რომელიმე კონკრეტულ ტერიტორიაზე, არამედ, ზოგადად, „მაღალმთიან დასახლებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის N671 დადგენილებით განსაზღვრულ ყველა მაღალმთიან დასახლებაზე. ამდენად, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 23-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა.ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, შეუძლებელია დადგინდეს სტრატეგიული დოკუმენტით განსახორციელებელ საქმიანობების კონკრეტული ადგილმდებარეობა, და აგრეთვე, სტრატეგიული დოკუმენტით განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში თუ რა ტიპის და მოცულობის საქმიანობის განხორციელება გახდება საჭირო.

,,საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2024-2030 წლების სტრატეგია“ არ ადგენს სამომავლო ჩარჩოს ბუნებრივი რესურსების განაწილების კუთხით განსახორციელებელი საქმიანობისათვის; დოკუმენტის პროექტით არ დგინდება სხვა გარემოსდაცვით სტრატეგიულ დოკუმენტებთან მიმართება და შეუძლებელია სტრატეგიის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე დადგინდეს, გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედების ხასიათი. შესაბამისად, ,,საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2024-2030 წლების სტრატეგიის“ პროექტი არ საჭიროებს სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცედურის გავლას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-20 მუხლის მე-5 ნაწილისა და 23-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2024-2030 წლების სტრატეგიის“ პროექტის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისადმი არდაქვემდებარების შესახებ;
2. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. სკრინინგის გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდსა და „მაღალმთიან დასახლებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის

№671 დადგენილებით განსაზღვრულ ყველა მაღალმთიანი დასახლების მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/524-21-4-202409171621

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

18 სექტემბერი 2024

N 21/9826

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს

ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სსიპ ლევან საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის
და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს

გიგზავნით „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2024-2030 წლების სტრატეგიის“ პროექტის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისადმი არდაქვემდებარების შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 17 სექტემბრის N 524/ს ბრძანებას.

დანართი: ელ. ვერსია

მაია ბერაძე

სააგენტოს უფროსის მოადგილე

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/9826-21-2-202409181253

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE